# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-511

21/07/2022 ქ. თბილისი

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე“ ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების და ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს ,,ასტექსზე“ გადაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების და ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივნისის N2-474 ბრძანებით შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტში ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების და ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს ,,ასტექსს“.

2. შპს ,,ასტექსმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 ივნისის №2-474 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ და შპს ,,ასტექსს“.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ და შპს „ასტექსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი